პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების

ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები:
ცალკე ხელის მომწერთათვის
1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ.
6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა:
1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ.
6 თვით— 1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ.
მე-4-ზე—40 კ.

124 (1119) | კვირა, 13 ივნისი 1926 წ. | 124 (1119)

## მოვამზადოთ გასაწვევი ახალგაზრდობა ჯარში სამსახურისათვის

ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა წითელ ჯარში არც ისე შორს არის. მალე დაიწყება წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ამ მხრივ. ამ მუშაობის ამოცანას შეადგენს გააცნოს გასაწვევ ახალგაზრდობას ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა, წითელი ჯარის დანიშნულება და მისი ამოცანები, წითელ ჯარში სამსახურის პირობები, შეღავათები, რომლებიც ეძლევა წითელ არმიელთა ოჯახებს და სხვა.

ერთი სიტყვით ამ წინასწარ მუშაობამ უნდა მოამზადოს გასაწვევი ახალგაზრდა წითელ ჯარში სამსახურისათვის. ცხადია თუ რა რიგ დიდათ შეუწყობს ხელს ასეთი წინასწარი მუშაობა გაწვევის ნაყოფიერად დამთავრებას.

ამიტომაც საჭიროა ყოველმხრივ ვეცადოთ, რათა ეს წინასწარი მოსამზადებელი კამპანია ფართოდ და წარმატებით ჩავატაროთ.

ისეთი საკითხები, როგორიც არის წითელი ჯარის დანიშნულება, მეთაურთა და ჯარისკაცთა დამოკიდებულება მასში, სამხედრო დისციპლინა და სხვა—ყოველივე ეს მეტად ინტერესებს გასაწვევ ახალგაზრდას. ყოველივე ეს მას უნდა აეხსნას და განემარტოს. სოფელში კი არა ყოველთვის მოიძებნება ისეთი ამხანაგი, რომელიც სათანადოთ გააშუქებს ყველა ამ საკითხებს.

აქ დახმარება ისევ წითელი ჯარიდან უნდა წამოვიდეს. ამის შესაძლებლობა არის. საბანაკო პერიოდი, სოფელთან სიახლოვე სრულ საშუალებას აძლევს ჩვენს ნაწილებს საფუძვლიანად აწარმოონ ეს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. ამ საქმეში მათ უნდა გამოიყენონ სოფელთან კავშირის ყველა სახეები. ასეთი მუშაობა ორგვარ სარგებლობას მისცემს წითელ ჯარს: მოუმზადებს მას ახალ ცვლას და მეორეს მხრივ კიდევ უფრო გააძლიერებს მოსახლეობასთან კავშირს.

ამრიგად ჩვენი წითელი ჯარის წინაშე სდგას მეტად სერიოზული ამოცანა—ამ წინასწარი მოსამზადებელი კამპანიის სახით. ეს ამოცანა ნაყოფიერად უნდა იქნას ჩატარებული. ამისათვის კი საჭიროა გეგმიანი, მოფიქრებული, ენერგიული მუშაობა.

ჯარი ნაწილებზე.

## მომაკვდავ კონტრრევოლიუციის მორიგი ვერაგობა

ქართული კონტრრევოლიუციონური ემიგრაცია განიცდის თავისი სამარცხვინო არსებობის უკანასკნელ წუთებს. სასიკვდილოთ დაჭრილი გველივით ის იკბინება და ეძებს მსხვერპლს. მან სიცოცხლეს გამოასალმა ერთი იმათგანი, ვინც პირი იბრუნა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ, მშრომელთა ოჯახისაკენ და გავიდა საქართველოს მუშებისა და გლეხების მტრების ბანაკიდან. ვიღაც ნაძირალმა მერაბიშვილმა ვერაგულად მოკლა გაზეთი „ახალი საქართველოს“ რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი. უდავოა, რომ მერაბიშვილის უკან ამოფარებულია ბატონი რამიშვილის ფიგურა.

მერაბიშვილი მისი ბრმა იარაღია. კონტრრევოლიუციონური ემიგრაციის ხელმძღვანელებს გონიათ, რომ ასეთი საზიზღარი ტერორისტული აქტებით ისინი პოლიტიკურ სიკვდილისა და სრული გაკოტრება — დაშლისაგან იხსნიან თავის კონტრრევოლიუციონურ ორგანიზაციას.

მაგრამ ტყუილი იმედები, ტყუილი ცდები.

პოლიტიკურად კარგა ხანია ისინი მოკვდენ, მორალურად გათახსირდენ და გადაგვარდენ.

მათ საბუდამოთ ჩამოსცილდა საქართველოს მშრომელი ხალხი. წყალი შეუდგა ემიგრაციას. იქაც რაც იყო მათში პატიოსანი, მუშური გავიდა მათ რიგებიდან. რამიშვილს და ჟორდანიას მხოლოდ ისეთი გახრწნილი, ფაშისტური ელემენტები და შერჩა როგორიც არის მერაბიშვილი.

აი ასეთი „გმირებით“, აი ასეთი „გმირული“ გზით როგორიც არის კუთხიდან რევოლვერით მიპარვა, ქართული ფაშისტური ნაფლეთები აპირებენ პოლიტიკური სიცოცხლის შენარჩუნებას. მაგრამ საბრალონი, მათ არ იციან, რომ ეს გზა კიდევ უფრო დააჩქარებს მათ სიკვდილს.

როგორც ეს მკვლელობა, ისე კარლო ჩხეიძის მიერ თვითმკვლელობის განზრახვა საუკეთესოთ ამტკიცებს, რომ ქართული კონტრრევოლიუცია თავისი არსებობის უკანასკნელ წუთებს განიცდის. მაგრამ თავისი სამარცხვინო სიცოცხლის დასრულებამდე ის ვერაგულად კლავს იმათ, ვინც საქართველოს მუშების და გლეხების მხარეზე გადადის. მუშურ-გლეხური ხელისუფლება ამას არ მოითმენს. მას საკმაო საშუალება აქვს ფრთები შეუკვეცოს კონტრრევოლიუციონური ნაძირალების სისხლიან მადას.

—მ.

# ქ. სოხუმში გაიხსნა საქართველოს ცაკის მესამე სესია

## ინგლისის გაფიცულ მუშების დასახმარებლად საბჭოთა პროფკავშირებმა გადასცა კუკს ერთი მილიონი მანეთი

### უკანასკნელ დღეებში ძლიერ გართულდა გერმანიის შინაური პოლიტიკური მდგომარეობა

## დახმარება ინგლისის მაღაროს მუშებს.

ინგლისის მთამადნელ მუშათა კავშირის ფედერაციას საბჭოთა კავშირის პროფკავშირებმა გადასცა კიდევ გაფიცულთა დახმარების მიზნით 1 მილიონი მანეთი.

გაზ. „დეილი-მეილი“ ილაშქრებს ამ გარემოების წინააღმდეგ და ავრცელებს ხმებს თითქოს ეს ფული იმ მიზნით იყოს გადაგზავნილი ინგლისში, რომ საბჭოთა კავშირი ხელს უწყობდეს ინგლისის მრეწველობის განადგურებას.

გაზეთის დიპლომატიური კორესპონდენტი ამბობს, რომ ბრიტანეთის მთავრობას სურს ყურადღება არ მიაქციოს საბჭოთა კავშირის ამ აქტს და არ კრძალავს ფულის ინგლისში გადმოგზავნას.

კუკმა განაცხადა, რომ ამას წინად მოსკოვიდან მიღებული იქნა აგრეთვე დახმარების სახით 380.000 გირვანქა სტერლინგი.

## მაკდონალდის ოინები.

მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის პრეზიდიუმმა უარი განაცხადა მთავრობის მიმართ გაკიცხვის ვოტუმის შეტანაზე მისი მოქმედების შესახებ გაფიცვების წინააღმდეგ.

## საკმაყოფო ბარათები არ იქნება შემოღებული.

საფრანგეთის მიწადმოქმედების მინისტრი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ხმებს, თითქოს მთავრობას განზრახული ჰქონდეს საკმაყოფო ბარათების შემოღება და ამნაირად კმაყოფის შემცირება.

## მომჭირნეობის რეჟიმი საფრანგეთში.

ამ დღეებში გამოქვეყნდება მთავრობის დეკრეტი რომლის ძალით გამოსაცხობ პურის ქბილს უნდა მიუმატონ ინდო-ჩინური მანიოკი და ბრინჯი.

## გამწვავებული მდგომარეობა გერმანიაში.

ზოგიერთი გაზეთების ცნობით, გერმანიის შინაური მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ პარლამენტის წრეები აშკარად ლაპარაკობენ პალატის დათხოვნის, ახალი საყოველთაო არჩევნების და გინდენბურგის გადადგომის შესაძლებლობის შესახებ.

## სოციალ დემოკრატებმა თავი შეიკავეს

გერმანიის რეიხსტაგმა უბრალო კენჭის ყრით უარყო კომუნისტების მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების ვოტუმი.

სოციალ დემოკრატებმა კენჭის ყრის დროს თავი შეიკავეს.

რეიხსტაგის შემდეგი სხდომა მოწვეული იქნება რეფერენდუმის მოხდენის შემდეგ.

## პილსუდსკის პირობები

მთავრობის თავმჯდომარის—ბარტელის წინადადებაზე დაეკავებია პილსუდსკის სამხედრო მინისტრის პოსტი, პილსუდსკიმ უპასუხა წერილობით; ის თანახმაა მიიღოს პორტფელი იმ შემთხვევაში თუ შესრულებული იქნება მისი მოთხოვნილებანი: არმიას უნდა განაგებდეს სრულიად სამხედრო მინისტრი და იგივე პასუხისმგებელი უნდა იყოს თავის მოქმედებაში მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე.

## საქართველოს ცაკის სესია სოხუმში

### სესიის გახსნის წინ

11 ივნისს სოხუმმა სადღესასწაულო ხასიათი მიიღო. მოსახლეობა მოუთმენლად მოელოდა დელეგატების ჩამოსვლას, ათასი დროშებით მორთული ნაპირი გაჭედილი იყო ხალხით. პროფორგანიზაციების წევრებმა თავი მოიყარეს სასახლესთან და იქედან გაემართენ ნავთსადგურისაკენ.

დილის 4 საათზე ნაპირს მოადგა გემი „სევასტოპოლი“—, რომელმაც მოიყვანა ცაკის წევრები.

ცაკის წევრებას საზეიმო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს გლეხებმა, აფხაზეთის ცაკის წევრებმა და პროფორგანიზაციებმა.

მთელი ქალაქი მორთული იყო საზეიმოთ. ქუჩები ვერ იტევდა მოზღვავებულ ხალხს. როგორც კი გამოჩნდა ჰორიზონტზე გემი „სევასტოპოლი“ აფხაზეთის ცაკის წევრები გაემგზავრენ კატერებით მის შესახვედრად. კატერებიდან თან უშვებდენ მაშხალებს. ამხ. ფ. მახარაძე გემიდან მიესალმა ხალხს შემდეგი სიტყვებით: „გაუმარჯოს აფხაზეთის მშრომელებს-“ო. ხალხი განუწყვეტელი ვაშას ძახილით შეეგება ძვირფას სტუმრებს. უკრავდა სამხედრო ორკესტრი.

### პირველი საზეიმო სხდომა.

საქართველოს ცაკის მესამე საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. ფ. მახარაძემ, რომელიც ვრცელი სიტყვით მიესალმა დელეგატებს და მთელ აფხაზეთს.

მან აღნიშნა თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სესიის აფხაზეთის დედა ქალაქში გახსნას როგორც აფხაზეთის, ისე მთელი საქართველოს მშრომელი ხალხისათვის.

დასასრულ ამხანაგმა აღნიშნა თავის სიტყვაში თუ რამდენად უკეთეს მდგომარეობაში ვიმყოფებით გასულ წლებთან შედარებით, როგორი წარმატებები გვაქვს აღმშენებლობის ყველა დარგებში და როგორ ვითარდება სასოფლო-მეურნეობა და საფუძველი ეყრება ახალ მრეწველობას, რომელიც დღემდე არ გვქონდა.

თავისი სიტყვა ამხ. დაამთავრა მოწოდებით, რომ გათვალისწინებული იქნეს დაშვებული შეცდომები და სესიის მუშაობა მიმართული იქნეს ერთხელ არჩეული გზით, რაც უზრუნველყოფს ჩვენს გამარჯვებას.

შემდეგი მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ ამხ. ამხ. ალა-მალი-ოღლი და აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარე ჩაჩბა და სხვა და სხვა ორგანიზატორები.

ამით დაიხურა საზეიმო სხდომა.

## პარიზში მოჰკლეს გრ. ვეშაპელი.

10 ივლისს პარიზში, სტუდენტმა მერაბიშვილმა რევოლვერით მოჰკლა გაზ. „ახალი საქართველოს“ რედაქტორი გრ. ვეშაპელი. ვეშაპელი მოკლული იქნა სამი ტყვიით ავტომობილში ჩაჯდომის დროს.

თეთრგვარდიელ სტუდენტთა ასოციაციამ, რომელსაც მერაბიშვილი ეკუთვნოდა, განაცხადა, რომ მერაბიშვილი თითქოს გამორიცხული იყო ასოციაციიდან, რადგან მას სწამებდენ ბოლშევიკებთან კავშირს.

მერაბიშვილმა განაცხადა, რომ მან მოჰკლა ვეშაპელი შურის ძიების გამო, რადგან ვეშაპელს ვითომდა დანაშაული მიუძღოდა მისი ნათესავების მკვლელობაში.

# ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ერთი კვირის განმავლობაში გამოფენას დიდი ცვლილება ეტყობა. ამ რამოდენიმე დღეში აღიმართა შვეციის ფირმის „ალფა-ლავალი"-ს მშვენიერი პავილიონი საჩვენებელი რძის საწარმოო ფერმით. ფერმაში ზედმიწევნით დაცულია სანიტარული და ჰიგიენური პირობები. მისი კედლები და იატაკი დამზადებულია განსაკუთრებული წესით, რომლებიც არ იკარებენ სინესტეს. ფერმაში მოთავსებულია აპარატები სეპარატორები, რომლებიც 1 საათის განმავლობაში ამუშავებენ 5-დან 240 ვედრომდე რძეს.

სეპარატორების საშვალებით უმთავრესად ხდიან რძეს, კარაქს. მომავალი კვირიდან ფირმას იმედი აქვს, რომ დაასრულებს მოლაპარაკებას მუშკოპთან რძის მიწოდების საკითხის გარშემო და შეუდგება სეპარატორების დემონსტრაციას.

ექსპონატების სიმრავლით და თავისი სიმდიდრით განირჩევა ამერიკული ფირმების განყოფილებები: „ფორდი", „ილისგარმესი", „მაკ-კარმიკ" და „საერთაშორისო კომპანია". ამ ჟამად მთავრდება სხვა და სხვა საგნების და მანქანების დადგმა. „ფორდი" გამოაფენს 6 სხვა და სხვანაირ ავტომობილებს. მათ შორის იქნებიან მსუბუქი და საბარგო ავტომობილები.

ყურადღებას იქცევს „ფორდის" ნახევრად საბარგო ავტომობილი ავტომატიურად მოძრავი ბაქანით, რომლის საშვალებით სწარმოებს სხვა და სხვა საგნების ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა და მათი სწრაფად აწყობა. ეს ბაქანი დიდ როლს ითამაშებს სხვა და სხვა საგნების დაწყობის დროს ეკონომიის საკითხში.

დღის ოთხი საათის შემდეგ გამოფენა ცოცხლდება ყოველდღიურად: ეწყობა ტრაქტორების დემონსტრაცია, ამუშავებენ ავტოფრეზებს, აწარმოებენ სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოცდას და მრავალი სხვა. მნახველები აუარებაა. ამას წინად ნაჩვენები იქნა გერმანული ფირმების: „ლანცისა" და „კომნაკის" ტრაქტორები, რომლებსაც გადაჰქონდათ 400 ფუთამდე სიმძიმე.

გამოფენას ყოველდღიურად ნახულობენ წითელარმიელების, გლეხების, მუშებისა და შრომის სკოლების მოწაფეთა ექსკურსიები.

გამოფენასთან არსებობს საექსკურსიო ბიურო, რომლის ხელმძღვანელობით დაწვრილებით ახსნა-განმარტებებს ღებულობენ ექსკურსიაში მონაწილენი.

გამოფენა გაგრძელდება კიდევ ორი თვე. ამნაირად საშვალება მიეცემათ ამიერ-კავკასიის მშრომელებს დაწვრილებით გაეცნონ გამოფენაზე მოტანილ ყველა ტეხნიკურად გაუმჯობესებულ სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს.

ი. შმერლინგი.

# აჭარისტანში

## მდ. ჭოროხის ადიდება

დიდი წვიმების გამო მდინარე ჭოროხში ერთ მეტრზე აიწია წყლის დონემ. დაბლობი ადგილები დაფარულია მდინარის ნაპირიდან გამოსული წყლით.

## ახალი გზების გასაყვანათ

აჭარისტანის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ხარჯთ აღრიცხვა 300.000 მანეთის რაოდენობით ხულოს, ქედის და ქობულეთის მაზრებში 6 ახალი გზის გაყვანის საჭიროებისათვის.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## პარტუჯრედის მუშაობა ახალ წვეულებში.

(მე-2-ე არტლეგიონი)

ჩვენს ლეგიონში 15 მაისიდან, მოვიდენ 1903 წ. დაბადებულნი ახალწვეულნი და იმ დღიდან დაიწყო მათში, პარტიულების და კომკავშირელების აღრიცხვა.

აღრიცხვის დასრულების დღიდან ჩვენს ლეგიონში დაიწყო უჯრედის მუშაობა.

ახალწვეულები სისტემატიურათ ესწრებიან უჯრედის კრებებს და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სხვა და სხვა საკითხების გარკვევაში.

გარდა ამისა ჩვენს ლეგიონში დაიწყო სემინარების მუშაობა და მასში მეცადინეობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს.

სემინარების მუშაობას ხელმძღვანელობს 5 ამხანაგი, რომელიც ბიურო-კოლექტივმა გამოყო თავის შემადგენლობიდან.

მაგრამ ჩვენი ლეგიონის პოლიტ მუშაობაში არის ერთი ნაკლი. სახელდობრ ის, რომ სამნეო გუნდში უკვე 25 დღეა, რაც პოლიტსაათი არ გატარებულა.

საჭიროა ბიურო-კოლექტივმა ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიაქციოს.

წითელი.

## ჩვენი კომკავშირის მუშაობა.

(მე-5-ე ლეგიონი)

ჩვენი ლეგიონის კომკავშირის ჯგუფები იმყოფება დასავლეთ საქართველოში მყოფ ყველა წერტებზე. ეს გარემოება, რასაკვირველია, მეტათ ართულებს და აძნელებს კომკავშირის მუშაობას. მაგრამ მიუხედავათ ამისა 28 მაისს, როდესაც მოხდა ჩვენი ლეგიონის კომკავშირის მუშაობის შემოწმება, მაშინ ამ შემოწმებამ დაადასტურა ის მიღწევები, რომელსაც ადგილი ქონდა კომკავშირის მუშაობაში,

ეს მიღწევები უმთავრესათ გამოიხატებოდა შემდეგში: კომკავშირის ჯგუფებში დიდი წარმატებით მიდიოდა მუშაობა. მისი გავლენამ საგრძნობლათ იმატა უპარტიო ახალგაზრდობაზე. გაიზარდა უჯრედი მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის ხარჯზე. პარტ და კულტმუშაობა სათანადო სიმაღლეზე იქმნა აყვანილი.

მაგრამ ჩვენი ლეგიონის კომკავშირის ჯგუფებს მაინც ევალებათ, რომ თავის მომავალ მუშაობაში ყურადღება მიაქციონ სოფლის ახალგაზრდობასთან კავშირის დაკავებას.

მ. ჭყონია.

## მუშკორის შეურაცყოფისათვის

ბათომის სახალხო სასამართლომ თითო წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ვაჭრებს—ძმებ თავართქილაძეებს, რომლებმაც შეურაცყოფა მიაყენეს მუშკორს მათი მამხილებელი კორესპონდენციის მოთავსებისათვის.

# სამხედრო საქმე ბანაკში.

## მეტეოროლოგიური სამსახური არმიაში

პრაქტიკულ მეტეოროლოგია (ამინდის შემსწავლელი მეცნიერება) მხოლოდ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში იქნა გამოყენებული სამხედრო საქმეში.

ჩვენ დროში სამხედრო ტეხნიკის სწრაფი ზრდა და რადიოტელეგრაფის განვითარება, აუცილებელს ხდის მეტეოროლოგიურ სამსახურს ყველა სახის ჯარის ნაწილებში.

მაგალითად, არტილერიაში, განსაკუთრებით სამანევრო ომის პირობებში, მოწინაღმდეგის მიზნით უდიდესი მნიშვნელობა აქვს გაუმიზნებლად სროლას.

არტილერიას უნდა შეეძლოს რა დროსაც საჭირო იქნება უეცარი ცეცხლის გახსნა მოპირდაპირის მდებარეობის ამა თუ იმ ადგილისაკენ.

ასეთ შემთხვევებში მეტეოროლოგიურ სამსახურს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მართლაც ჰაერის სიმკვრივის ცვლილებით—იცვლება მის მიერ გაწეული წინააღმდეგობა გასროლილი ყუმბარისადმი, ე. ი. ჰაერის სიმკვრივის გაზრდასთან ერთად მცირდება ყუმბარის შორის გასროლის მანძილიც ერთი და იმავე მიზნის დროს.

საჰაერო ფრენის სამსახურში მეტეოროლოგია აუცილებელია, რადგან ჰაერის ზედა ფენების მდგომარეობის გაუთვალისწინებლად, ჰაეროსტატით გაფრენა ძნელი განსახორციელებელია. ხოლო მიმაგრებული ჰაეროსტატის აშვება კი შეუძლებელი.

ავიაციაში ხომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეტეოროლოგიას. მფრინავმა უნდა იცოდეს: ჰაერის წნევა აფრენის მომენტში, ჰაერის ტემპერატურა აფრენის სიმაღლეებში, ქარის მიმართულება და სიჩქარე ატმოსფერის სხვა და სხვა ფენებში და განსაკუთრებით კი მის ზედა ფენებში. უფრო ღირსშესანიშნავ როლს თამაშობს მეტეოროლოგიური სამსახური სამხედრო-ქიმიურ საქმეში.

ბალონებიდან გამოშვებული აირების ტალღებით ქიმიური თავდასხმა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც გვექნება კარგად მოწყობილი სადგურების ქსელი და რომლებიც მუდმივ კავშირში არიან უახლოეს ცენტრალურ მეტეოროლოგიურ სადგურთან.

ქიმიური ჭურვებით სროლის ჩატარების დროსაც აუცილებელია მეტეოროლოგიური სამსახური, რადგან ჭურვები მხოლოდ მაშინ მიაღწევენ მიზანს, როდესაც ქრის ქარი სამი მეტრის სიჩქარით წამში და როდესაც ადგილი არა აქვს ზევით ამავალ ჰაერის მდინარებას.

სამხედრო საქმის ტეხნიკა სულ ახალ და ახალ მოთხოვნილებებს უყენებს მეტეოროლოგიას.

არმიაში ახალი ტეხნიკური საშვალებების შემოტანით როგორიც არიან: ბგერების მზომელები, შენიღბვა, ჰაერო ფოტო გადაღება და უმავთულო ტელეგრაფი. ეს საშვალებები მოითხოვენ მეტეოროლოგიური სამსახურის შესაფერ სიმაღლეზე დაყენებას არმიაში.

დასასრულ მეტეოროლოგია შეისწავლის ქვეყნის ჰავას განსაკუთრებით კი სანაპირო რაიონებისას, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს სხვა და სხვა სახის შეიარაღების ნაწილებისათვის.

ა. პ.

# თითეული საათი გამოყენებული უნდა იქნეს სამხედრო მუშაობისათვის.

მომავალ ომებში თითეული განყოფილება იმოქმედებს დამოუკიდებლად. განყოფილებაში შემავალ თითეულ წითელარმიელმა დამოუკიდებლად უნდა ამოიღოს თავ სთვის მიზანი და განსაზღვროს მანძილი. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მიზანის სწრაფად და სწორად ამოღებაში დახელოვნებას.

თითეულმა გაშვებულმა ტყვიამ უნდა მიაღწიოს რომელიც ამოირჩია მსროლელმა, ხოლო ეს მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც სისწორით იქნება განსაზღვრული მანძილი მიზნამდე და სწორად იქნება ამოღებული მიზანი. თვალზომით მანძილის გაგება უნდა შეისწავლოს თითეულ წითელ არმიელმა, ხოლო ეს კი თხოულობს დიდ პრაქტიკას და გაუმჯობესებას.

ამ შემთხვევაში დიდ დახმარებას გაგვიწევს ბანაკი. აქ ყველაზე უფრო კარგად შეიძლება ამ მუშაობის წარმოება არა მარტო მეცადინეობის დროს, არამედ თავისუფალ საათებშიც.

კარვებიდან გამოსვლისთანავე პირველადვე დანახულ საგნამდე უნდა განვსაზღვროთ თვალზომით მანძილი. ერთი წითელ არმიელი იტყვის—მეორე გაუსწორებს და ასე საერთო ძალით სისწორით განისაზღვრება მანძილი.

შემდეგ უნდა ვეცადოთ სინამდვილეში დავრწმუნდეთ-თვალით გაზომილი მართლა გავზომოთ ნაბიჯით და შეცდომები გამოვიყენოთ შემდეგისთვის.

ასეთი ვარჯიშობა ყოველთვის შეიძლება იქნეს ჩატარებული.

მრავალი ხელსწყოები არსებობს, რომელთა საშვალებით შეიძლება მანძილის გამორკვევა, მაგრამ ისინი ყოველთვის არ იქნებიან ჩვენს განკარგულებაში, ამიტომ საჭიროა შევეჩვიოთ თვალით გაზომვას.

სადაც არ უნდა წავიდეთ, თვალები ყოველთვის ჩვენს განკარგულებაშია. ძმვიდობიან დროს თუ საკმაოდ დავხელოვნდებით ამაში, ბრძოლის დროს ადვილად შეგვეძლება გავიგოთ მანძილი სხვა და სხვა საგნებამდე, რომელთა გამოყენება აუცილებელი იქნება.

ვ. უ.

# მეორე საგლეხო სესხის გათამაშება.

დღეს მოხდება მე-2 საგლეხო სესხის გათამაშება. მოთხოვნილება მასზე მეტად გაიზარდა. გამოშვებულია ორი დამატებითი სერია. სესხის სარგებლიანობა იწვევს დიდ ყურადღებას. სესხი აჯანსაღებს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას.

ს. კ. პ-ს ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმმა სცნო, რომ საბჭოთა კრედიტი და კერძოთ სესხი წარმოადგენენ ამჟამად აუცილებელ დასაყრდენს ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში, რადგანაც ისინი აწვდიან სახელმწიფოს დამხმარე საშუალებებს, რომლებზედაც შეიძლება განვითარდეს მრეწველობა და ვაჭრობა, და რაც მთავარია—აცილებულ იქნას ჩერვონეცის დაცემა.

უკანასკნელ დროს, როგორც შემჩნეულია, დიდი გასავალი აქვს სესხს მოსახლეობაში.

მაგალითად, მოსკოვში ამა წლის მარტში სახელმწიფო ბანკმა გაყიდა მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციები 600.000 მან. მეტი, ვიდრე თვით შეისყიდა. აპრილში მოთხოვნილების გადიდება სესხზე უდრიდა 175.000 მ., მაისის 20 დღის განმავლობაში გაყიდულ იქნა იმავე სესხის ობლიგაციები 320.000 მ. მეტი, ვიდრე შესყიდული იყო ამავე ხნის განმავლობაში.

მეორე საგლეხო სესხის მე-2 ტირაჟის დროს მოსკოვში გაყიდული იქნა 500.000 მან. მეტი ობლიგაციები. ტირაჟის შემდეგაც (ე. ი. გათამაშების შემდეგ), როცა მოგების იმედები უნდა შემცირებულიყო, მოთხოვნილება მაინც იზრდებოდა.

კიდევ მეტი, მოსახლეობა, რომელთაც ხელზე აქვთ ობლიგაციები, როცა დგება ვადა მათი შესყიდვისა სახელმწიფოს მიერ, არ ღებულობს ფულს, არამედ სცვლის ძველ ობლიგაციებს ახალ სესხზე.

პირველ მაისისთვის უნდა განაღდებულიყო სახელმწიფო სესხის 23 მილიონ ნახევარი მანეთი. მოსახლეობამ კი მხოლოდ 11 მილიონი მანეთი აიღო ნაღდი ფულით ობლიგაციებზე, დანარჩენი 17 მილ. მან. მან. მეტი კი შესცვალეს მე-2 საგლეხო სესხის ობლიგაციებზე, რომლის ტირაჟი (გათამაშება) მოხდება დღეს—13 ივნისს.

ამისთვის სსრკ-ს ფინსახკომმა გამოუშვა დამატებითი სერიები მე-2 საგლეხო სესხის, იმ ანგარიშით, რომ ისინი გავრცელებული იქნებოდენ გათამაშების წინ და თავისდ როზე.

რით აიხსნება ასეთი გასავალი?

უპირველესად ყოვლისა საბჭოთა ხელისუფლების და მისი სამეურნეო პოლიტიკის სიმტკიცით. მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ ფული გაღებული სესხისთვის, არ დაიკარგება. მოსახლეობა დარწმუნებულია აგრეთვე, რომ ჩერვონეცი არ დაეცემა და სესხიც არ დაკარგავს ფასს. შემჩნეულია, რომ სესხის ობლიგაციებს იძენენ არა მარტო მშრომელები, არამედ „ნეპი-"ს ბურჟუაზიაც. აქედან ცხადია, რომ თუ „ნეპი-"ს ბურჟუაზია ანდობს ფულს საბჭოთა ხაზინას, ის დარწმუნებულია საბჭოთა ფულის სიმტკიცეში.

მეტად შეუწყო ხელი ობლიგაციების გავრცელებას ის გარემოებამ, რომ შეიძლება მათი გაყიდვა, ყიდვა, დაგირავება და სხვა... ობლიგაცია მკვდარი კაპიტალი კი არაა, არამედ—ფული, რომელიც იმავე დროს იძლევა განსაზღვრულ პროცენტ შემოსავალს.

ქალაქის მოსახლეობამ ეს შეიგნო და იძლევა ფულს. საჭიროა, რომ სესხი, უმთავრესად საგლეხო, შეიჭრას ღრმად სოფლად. მით უფრო მაშინ, როცა სოფელში ახალი მოსავლის პურის გაყიდვისაგან დაიწყებს დაგროვებას ფული. წითელ არმიელს შეუძლია ურჩიოს თავის სოფელს სესხის შეძენა. ამით კი უფრო განმტკიცდება კავშირის, როგორც შინაური, ისე გარეშე მდგომარეობა და რაც უმთავრესია, სახელმწიფოს შეეძლება წარმატებით ებრძოლოს სიძვირეს, საქონლის სიმცირეს და განავითაროს მრეწველობა.

# ახალწვეულ ცვალებადელთა შორის

## ვინახულეთ სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

6 ე ლეგ. 2 ასეული

3 ივნისს ლეგიონის ხსენებული ასეულის შემადგენლობა მთლიანად გაეშურა გამოფენის სანახავად.

ნაწილის მეთაურმა წინასწარ აგვიხსნა, თუ რა მიზანს ისახავს გამოფენა და როგორი მნიშვნელობა აქვს მას ჩვენთვის. მისვლისთანავე დაგვყვეს ჯგუფებად და დაგვინიშნეს ხელმძღვანელები, რომლებიც დაწვრილებით გვიხსნიდენ ყველა იარაღების დანიშნულებებს და მათი მოხმარების წესებს. დაწვრილებით იძლეოდენ აგრეთვე პასუხს წითელ არმიელების ყველა შეკითხვებზე.

ცვალებადელებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა გამოფენამ. განსაკუთრებით ძლიერ დააინტერესა ისინი გერმანულ იარაღების ნახვამ. ბევრი მათგანი ნატრობდა საკუთარი მეურნეობისათვის გამოფენილ სამუშაო იარაღებს.

საერთოდ ექსკურსიით ძლიერ კმაყოფილი დარჩენ ამხანაგები, რომლებმაც მრავალი რჩევა-დარიგებები მიიღეს სოფლის მეურნეობის ნაყოფიერად წარმოებისათვის.

პ. ლობელაძე.

## ჩვენი ცხოვრებიდან

2-ე არტლეგიონი

ნაწილში ენერგიულად სწარმოებს ყოველგვარი სახის მეცადინეობა. დისციპლინა სამაგალითოა. არ ყოფილა დეზერტირობის ერთი შემთხვევაც კი. სამხედრო საქმეში დიდ ინტერესს და გულისყურს იჩენენ ახალწვეული ცვალებადელები.

თავისუფალ წუთებში კი ეწევიან თვითგანვითარების საქმეს. იმართება ლენინის კუთხეებში საინტერესო საუბრები, ხმამაღალი კითხვა, კამათი სხვა და სხვა მნიშვნელოვან საკითხების გარშემო.

ხშირად ვაწყობთ აგრეთვე სხვა და სხვა გასართობებს. სპორტიულ შეჯიბრს, სხვა და სხვა გვარ მეტოქეობის ხასიათის გასართობებს და მრავალი სხვა. ცვალებადელებში იშვიათი კარგი განწყობილებაა. წითელი ყაზარმა ყველას შეუყვარდა, ყველა კარგად გრძნობს, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს მას ჩვენთვის და რამდენად აფართოებს ჩვენი განვითარების დონეს.

მ. არუთინოვი.

## მოხსენება ტერ-სისტემაზე.

მე-5 ლეგიონი.

3 ივნის ლეგიონის გაერთიანებულ კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენება ტერიტორიალური აღმშენებლობის მნიშვნელობასა და მისი კარგად დაყენების შესახებ ჩვენში. მოხსენება გააკეთა ლეგთავმა, რომელმაც დაწვრილებით გააშუქა ტერსისტემის მნიშვნელობა და ის თუ რა დიდი სარგებლობა მოუტანა მან ჩვენს ქვეყანას, სხვა და სხვა ხარჯების შემსუბუქების საქმეში. შემდეგ ლეგთავი შეეხო აგრეთვე სხვა და სხვა მოვლენებს ლეგიონში, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წითელ არმიელთა შორის და სათანადო ახსნა განმარტებასთან ერთად დაარიგა ცვალებადელები თუ როგორ უნდა მოეკიდონ სამხედრო სამსახურს და რას მოითხოვს ის თვითეული წითელ არმიელისაგან.

დისციპლინით ლეგთავი კმაყოფილი იყო. ეს მან ხაზგასმით აღნიშნა და მოუწოდა წითელ არმიელებს კიდევ უფრო განამტკიცონ ის.

წითელ არმიელებმა მრავალი შეკითხვები მისცეს უფროსს სამსახურის შესახებ, რაზედაც ამომწურავი და დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღეს.

დასასრულ მოვისმინეთ აგრეთვე მოხსენება კლუბის უფროსის საკლუბო მუშაობის შესახებ, რომელიც ერთხმად იქნა ცნობილი დამაკმაყოფილებლად.

ოგანოვი.

# ამხ. ამხ. სამხკორებო! მოგვაწოდეთ წერილები თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა ბანაკში.

## ცვალებადელები კარგად მეცადინეობენ.

მე-4-ე ლეგიონი

ჩვენი ლეგიონის პირველ ასეულში მყოფი ცვალებადელები დიდი ინტერესით მეცადინეობენ. მათი მოსვლისთანავე დაიწყო პოლიტიკური და სამხედრო მეცადინეობა, ჩვენი მეთაურები დიდი ენერგიას იჩენენ ცვალებადელთა გათვითცნობიერების საკითხში. გარდა ამისა ლენკუთხეში ხშირათ იმართება საუბრები. ცვალებადელები დიდ აქტიობას იჩენენ ასეთ საუბრების დროს. აგრეთვე ეწყობა გაზეთის ხმამაღლა კითხვა. ასეთი მუყაითი მეცადინეობით ჩვენ შევსძლებთ ცვალებადელთა კარგად მომზადებას.

ს. ც—ძე.

## მალე შეისწავლიან წერა-კითხვას.

მე-6 ლეგიონის მე-5 ასეული.

ჩვენს ასეულში მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა, როგორც სამხედრო ისე პოლიტ და სკოლის გარეშე მეცადინეობის დარგში. ავიყვანეთ აღრიცხვაზე წერა-კითხვის უცოდინარები, რომლებსაც დაენიშნათ მასწავლებელი. ყველანი ერთგულად ეკიდებიან მეცადინეობას და მიზნად ისახავენ რომ მოკლე ხანში თავის ხელით ნაწერი წერილი მიაწოდონ მშობლებს და ნაცნობებს.

ახალწვეულები დიდ აქტივობას იჩენენ ყველაფერში. აღსანიშნავია სკოლის გარეშე მუშაობაში მათი აქტივობა. ყოველ საღამოობით იკითხება სათანადო განმარტებებით პოლიტიკური, ლიტერატურული, ანტი რელიგიური წიგნები და იმართება საუბრები. ცვალებადელები ხედავენ წ. ყაზარმაში ნამდვილ სკოლას და იმედიც აქვთ, რომ აქედან ოჯახს დაუბრუნდებიან სათანადოთ შეგნებული, გამობრძმედილი და გამოცდილებით აღჭურვილი. ლეგიონის მესვეურების მუშაობით მალე აუხდებათ ამხანაგებს ეს სურვილიც.

მეფარიშვ ლ.

## მეცადინეობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს.

მე 5 ლეგიონის საკავშირო ბუნდი.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენს გუნდში ცვალებადელები იქნა მიღებული. მათი მიღებისთანავე გუნდის უფშემადგენლობამ დაიწყო მათში პოლიტიკური და სამხედრო მეცადინეობა. მეცადინეობის დროს დიდ ინტერესს და საკითხების კარგ გაგებას იჩენენ ცვალებადელები. განსაკუთრებით კი უნდა აღინიშნოს ის, რომ მეთაურები არ იშურებენ თავიანთ ძალღონეს ცვალებადელთა მომზადებისათვის და ყოველთვის მზათ არიან ახსნა-განმარტება მისცენ სხვა და სხვა საკითხებზე ცვალებადელებს. აგრეთვე ცვალებადელები სისტემატიურათ ესწრებიან პოლიტსაათს და მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ პოლიტსაათის ჩატარების დროს. დიდ დახმარებას უწევს ცვალებადელებს აგრეთვე გუნდის სამკითხველო, სადაც ისინი კითხულობენ გაზეთებს და წიგნებს. საერთოდ ცვალებადელების მეცადინეობა ჩვენს გუნდში მეტად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს და უსურვებთ ჩვენი გუნდის უფშემადგენლობას, რომ ასეთ მეცადინეობას კიდევ უფრო ძლიერი და განვითარებული სახე მისცემოდეს მომავალში.

ტ. ფაცურია.

# ჩვენი ნაწილები ბანაკში

## სასარგებლო ექსკურსია

4 ივნის სამხედრო საავადმყოფოს წითელ არმიელებმა ექსკურსია მოაწყვეს ჯაგრის ქარხანაში. ქარხანაში სათანადო ახსნა-განმარტებას იძლეოდა ამხ. ოთარბეგოვი. მან წითელ არმიელებს აუხსნა ჯაგარის მნიშვნელობა. აგრეთვე მისი ხელმძღვანელობით დავათვალიერეთ ხალიჩების დასამზადებელი განყოფილება. ქარხნის დათვალიერების შემდეგ ამხ. ოთარბეგოვმა ჩვენ წითელ არმიელებს ლენკუთხისთვის აჩუქა, რამოდენიმე ჟურნალი და წიგნები. წითელ არმიელები მეტად კმაყოფილნი დარჩენ ამ ექსკურსიით.

სასურველია ასეთი ექსკურსია მოეწყობოდეს ფეხსაცმელების გასაკეთებელ ქარხანაშიც.

ა. ზიბზაბაძე.

## როგორ ვეხმარებით გლეხობას

2-ე ლეგ. 9 ასეული

ადგილობრივ გლეხებს საბინაკო ცხოვრების დროს დიდ დახმარებას უწევს ჩვენი ლეგიონი. ხშირად გამოვყობთ წითელ არმიელებს და გავსწევთ სოფლებისაკენ. ვეხმარებით გლეხებს სხვა და სხვა სამუშაოებში.

6 ივნისს 9 ასეულის წითელ არმიელები დაეხმარენ ერთ ადგილობრივ სოფლის უღარიბეს გლეხს. მას ჰქონდა გასათოხნი სიმინდის ყანა. წინასწარ შევატყობიეთ გლეხს, რომ ეშოვნა თოხების საკმაო რიცხვი. მეორე დღეს გავეშურეთ სიმინდის ყანისაკენ და შევესიეთ სამუშაოთ. სიმღერა და ყიჟინა არ შეშწყდარა ყანაში მთელი დღის განმავლობაში. ყველა გულმოდგინეთ სცემდენ თოხებს და მუშაობდენ.

ყანის გათავების შემდეგ, საზღვარი არ ქონდა გლეხის სიხარულს. აღარ იცოდა როგორ გადაეხადა ჩვენთვის მადლობა.

საღამოთი დავსტოვეთ გახარებული გლეხი და სიმღერით გამოვეშურეთ ნაწილისაკენ.

შ. აზიკუროვი

## სკოლის გარეშე მუშაობა გაუმჯობესდა

1-ლი ლეგიონის 8 ასეული

4 ივნისს შესდგა ასეულის გაერთიანებული ღია კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება ასეულში არსებულ თვითგანვითარების და თვითმოქმედ ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა ამ მხრივ ძლიერ ნაყოფიერად წარმოებულა მუშაობა. ყველა ორგანიზაციები თავის სიმაღლეზე მდგარან.

დასასრულ მოხდა ხელახალი გადარჩევა ბიუროების. არჩეული იქნა აგრეთვე ასეულის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია და ლენკუთხის საბჭო, რომლებსაც დაევალა ენერგიულად აწარმოონ მუშაობა, რაც იმედია სისრულეში იქნება მოყვანილი.

ა. დეისაძე.

## კავშირი სოფელთან.

1-ლი არტლეგიონი.

ბანაკში გასვლის შემდეგ ჩვენს ლეგიონს საშვალება მიეცა დაკავშირებოდა სოფ. №. ნაწილის ბიურო-კოლექტივმა გამოყო თავის შემადგენლობიდან ერთი ამხანაგი და მიამაგრა ამ სოფლის კომუჯრედს მუშაობის საწარმოებლად.

ასევე მოიქცა სოფლის პარტორგანიზაცია, რომელმაც მოავლინა ჩვენთან თავისი წარმომადგენელი. შემუშავებული იქნა 2 თვიან გაერთიანებული სამუშაო გეგმა.

1902 წელში დაბადებული წითელარმიელები, რომლებიც მოკლე ხანში დაუბრუნდებიან თავიანთ სოფლებს, მიმაგრებული არიან საბჭოსთან არსებულ სექციებზე, რომელთა საქმიანობა დაახლოვებს წითელარმიელებს საბჭოს პრაქტიკული მუშაობის ფორმებს და შემდეგ გაუადვილებს მათ სოფლის საბჭოში მუშაობის წარმოებას.

ამ ახლო ხანში დაკავშირებულ სოფელში ვაპირებთ გზის გაყვანას. მუშაობის დამთავრების შემდეგ—საღამოს დადგმული იქნება სოფელში ჩვენი ძალებით უფასო წარმოდგენა. გამოყოფილი იქნენ რამოდენიმე ამხანაგები ამ დღეს მოხსენების გასაკეთებლად გლეხებისათვის.

სოფელში რამოდენიმეჯერ მოეწყო ნაწილის ექიმის მიერ საუბრები სანიტარიის შესახებ. ადგილობრივ ქოხსამკითხველოსთან უკვე შევუდექით სამხედრო კუთხის ჩამოყალიბების საქმეს. დაარსებული იქნება აგრეთვე სამხედრო ცოდნის წრე, სადაც კვირაში ერთხელ მოეწყობა საუბრები სამხედრო საქმეზე. სოფელს გამოუწერეთ რამოდენიმე ცალი გაზ. „წითელ-არმიელი". ადგილობრივ კედლის გაზეთში შამოვაღებიეთ სამხედრო განყოფილება.

გამოვყავით რამოდენიმე აქტიური სამხკორები, რომლებიც აწარმოებენ მუშაობას სოფლის გლეხკორებთან.

ასეთივე კავშირი არსებობს ნაწილია და სოფლის ახკომკავშირის ორგანიზაციებს შორის.

ამნაირად გასულ წელთან შედარებით, წელს სოფელთან დაკავშირების საქმეში ჩვენი ნაწილი უფრო მეტს გააკეთებს. ამის საწინდარია ყოველმხრივ წარმოებული ენერგიული მუშაობა.

ტ. მამალაძე.

## პოლიტ და სასკოლო გამოცდები 1-ლ ლეგიონში

მიღწევები დიდი გვაქვს.

ამ რამოდენიმე დღის წინად 1-ლ ლეგიონში ჩატარებული იქნა პოლიტ და სასკოლო გამოცდები. ლეგიონს დიდი მიღწევები აღმოაჩნდა ამ საქმეში.

გამოცდებმა დიდხანს გასტანა, რადგან კომისიის წევრებს უხდებოდათ თითეულად გასცნობოდენ წითელ არმიელებს და საბოლოოდ გამოერკვიათ მათი ცოდნა.

მოლოდინმა ამ მხრივ სრული გაგვიმართლეს იმედები. პოლიტიკურ კითხვებში კარგად არიან გარკვეული, შეისწავლეს წერა-კითხვა და 4 მოქმედება არითმეტიკაში.

ლეგიონში მოსული უცოდინარი ახალწვეულებიდან არც ერთი არ არის, რომ კარგად არ იყოს ამ ეგმად მომზადებული.

გამოცდებზე წითელ არმიელები საუკეთესოდ იძლეოდენ პასუხს ყველა შეკითხვებზე. იყო ზოგიერთი ჯგუფებიც, რომლებშიდაც აქა იქ ერეოდენ სუსტი წ. არმიელები, მაგრამ კომისიამ შესაფერი დირექტივები მისცა პოლიტხელებს მომავალში მათთან მეცადინეობისათვის. მათ დაევალა ინდივიდუალური მეცადინეობა აწარმოონ ჩამორჩენილებთან ლენინის კარვებში.

საერთო გამოცდების შედეგები ასეთია: სულ გაიარა გამოცდები 820 წითელ არმიელმა და 84 უმცროს მეთაურმა.

ლეგიონში იყო სულ 40 ჯგ. მცოდნეთა ჯგუფებში 369 კაცი.

| | | |
|---|---|---|
| მცირე მცოდნეთა | 222 | „ |
| უცოდინართა | 229 | „ |

აქედან ცხრა პარტიის წევრი იყო, 23 კანდიდატი, 136 ახკომკავშირელი და 625 უპარტიო.

მცოდნე ჯგუფიდან გამოცდები კარგად ჩააბარეს—174, დამაკმაყოფილებლად—149 და სუსტად —49.

მცირე მცოდნეებიდან: 67 კარგად, 106 დამაკმაყ. და 49 სუსტად.

უცოდინართაგან: 82 კარგად, 88 დამაკმაყ. და 59 სუსტად.

საერთოდ გამოცდებში ისეთებმა გამოიჩინეს სისუსტე, რომლებიც ავადმყოფობის და სხვა მიზეზების გამო ჩამორჩენ მეცადინეობას. ამას გარდა მე-3 ლეგიონიდან გადმოყვანილი იქნენ ჩვენთან 100 კაცი, რომლებიც თითქმის ყველა სუსტები აღმოჩნდენ.

უმცროს მეთაურებიდან: კარგად ჩააბარეს 83 კაცმა, დამაკმაყოფილებლად—95 და სუსტად 8 კაცმა.

ამნაირად გამოცდების შედეგები მეტად დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ამ გაკვეთილებზე ნაწილი კიდევ უფრო ნაყოფიერად გააგრძელებს მუშაობას მომავალში.

ს. იმნაიშვილი.

# ᲛᲝᲡᲞᲔᲗ ᲜᲐᲙᲚᲣᲚᲔᲕᲐᲜᲔᲑᲐᲜᲘ

### ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲐᲢᲝᲜᲝ

1-ლი არტლეგიონის შტაბში გადამწერი წითელ არმიელები „უბატონოთ“ არავის სცემენ ხმას. უფროსებს სიტყა—ბატონოთი მიმართავენ. სამწუხაროდ უფროსი ამხანაგები ოდნავ არ აქცევენ ამ გარემოებას ყურადღებას.

შტაბში შემსვლელი რიგის წითელ არმიელები გაკვირვებაში მოდიან. ყაზარმაში მათ ასწავლიან, რომ არ იხმარონ სიტყვა „ბატონო“ და აქ კი ისინი წინაალმდეგს ხედავენ.

დროა შესაფერი ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას ვისგანაც ჯერ არს. **რიონისპირელი.**

### ᲡᲐᲛᲝᲠᲘᲒᲔᲝ ᲝᲗᲐᲮᲘ ᲣᲡᲣᲤᲗᲐᲝᲓ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ

ტფილისის სამხედრო საავადმყოფოში ვინიშნებით მორიგეებათ 1-ლი ლეგიონის უმცროსი მეთაურები. სამწუხაროდ ისეთი უსუფთაობა არის საზოგადოთ საავადმყოფოში და კერძოთ ჩვენს სამორიგეო ოთახში, რომ შეუძლებელი ხდება შიგ გაჩერება. ოთახი მოთავსებულია ზარელის გვერდით და შეუძლებელია გაჩერება.

სისუფთავის დაცვას კი არავითარი ყურადღება არ ექცევა. **წურწუტა.**

# ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲔᲑᲨᲘ

### ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲐ.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები, სამხედრო სამინისტროს გეგმის თანახმად ქმნის უძლიერეს საარტილერიო რეზერვს. პირველ ყოვლისა მთელი ეს რეზერვი აღჭურვილი იქნება მექანიკური-მზიდავი ძალებით—ტრაქტორებითა და ავტომობილებით.

ყველა ყალიბის ქვემეხების სროლის სიშორე გადიდებული იქნება ორჯერ. მთელი რეზერვი შემდგარი იქნება: 12 ბრიგადისაგან (3 დიუმიანი ქვემეხებით) თითეული ასეთი ბრიგადა გაიყოფა სამ ლეგიონად, ლეგიონში 2 ბათალიონი იქნება, ბათალიონში კი 3 ბატარეია ოთხი ზარბაზნით თითეული. ამნაირად სულ იქნება 426 ზარბაზანი ტრაქტორებზე და 426 საბარგო ავტომობილებზე.

ამათ გარდა რეზერვი შევა კიდევ: ექვსი მძიმე არტილერიის ბრიგადა ტრაქტორებით. თითეულ ასეთ ბრიგადაში იქნება 5 ლეგიონი. აქედან 2 ლეგიონი 5 დიუმიანი ზარბაზნებით, 2—10 დიუმიანი და 1 კი 6 დიუმიანი ზარბაზნებით. სულ 792 ზარბაზანი.

ცალკე ლეგიონები—1—12 დიუმიანი და ერთიც 16 დიუმიანი ზარბაზნებით. ორივე ლეგიონები მოთავსებული იქნებიან რკინის გზის პლატფორმებზე—სულ 48 ზარბაზნით.

4 ბრიგადა საზენიტო (ჰაეროპლანების საწინააღმდეგო) არტილერიის, სულ 16 ლეგიონი—384 ზარბაზნით.

ამნაირად, ყოველ წუთს შეუძლია არმიის სარდლობას შეიყვანოს მოქმედ ნაწილებში 2076 შორს მსროლელი ახალი ტიპის ზარბაზნები.

**საფრანგეთმა** წინ გაასწრო ამერიკასა და ინგლისს ამ მხრივ. ამჟამად მის არსენალებში ინახება 12.000 ახალი დამზადებული სხვა და სხვა ყალიბის ზარბაზნები. ამ არტილერიის საერთო გასროლის სიძლიერე იმდენათ დიდია, რომ თუ მათ ერთად დავაწყობთ და გავისვრით, შეუძლიათ გადააბრუნონ 125 კვადრატიული კილომეტრის ადგილი. საფრანგეთი ვერ უსწრებს ინგლისს და ამერიკას მხოლოდ შორს მსროლელი ზარბაზნების დამზადებაში.

# ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲐ

### ᲤᲝᲠᲓᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲝᲞᲚᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ.

ამ რამოდენიმე თვის განმავლობაში, ფორდის საჰაერო ნავთსადგურში, დირბორნში, ააშენებენ ჰაეროპლანების ახალ ქარხანას. ქარხანაში იმუშავებს 18 ათასი მუშა. ყოველდღიურათ დამზადდება 1,300 ჰაეროპლანი. ქარხანა იმუშავებს ფორდის სისტემით, ე. ი. ნედლი მასალა შევა ქარხნის ერთი ბოლოდან და მეორე ბოლოში კი გამოვა დამზადებული ჰაეროპლანი. ფორდის ყველა ჰაეროპლანები იქნებიან ერთგვარი კონსტრუქციის. ისინი განზრახულია ფართო მოხმარებისათვის. ჰაეროპლანი პირველათ ეღირება 750 დოლარი. ფორდი ფიქრობს, რომ მისი ჰაეროპლანები ორი წლის განმავლობაში ისე გავრცელდებიან ყველგან, როგორც მისი ავტომობილები.

### ᲒᲐᲛᲛᲐ—ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘ.

სამეცნიერო წრეები ამჟამათ მეტათ დაინტერესებულნი არიან, ახლათ აღმოჩენილი, რადიოს გამმა—სხივების გამოკვლევებით. ეს სხივები ისეთი „სასასტიკით“ ხასიათდებიან, რომ თავისი ძალით ისინი ბევრათ უფრო აღემატებიან რადიოს სხივებს. ისინი თავისუფლათ გადიან ისეთ სხეულებში, რომლებიც რენტგენის სხივებისათვის გაუვალი არიან. მაგრამ ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი ამ სხივებში ის არის, რომ არავინ არ იცის თუ საიდან ჩნდება იგი.

ამერიკელი ცნობილი ფიზიკოსი მაიკელსონი ფიქრობს, რომ ეს სხივები იბადებიან სადღაც მსოფლიო სივრცეში. უმრავლესობა „დამნგრევი სხივებისა“, რომლებიც ომებში გამოსაყენებლათ იქნა გამოგონებული, დაფუძნებული არის ამ გამმა—სხივების მოქმედების პრინციპზე.

### ᲔᲕᲔᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲖᲔ ᲰᲐᲔᲠᲝᲞᲚᲐᲜᲘᲗ.

ჯერ კიდევ ფეხი არ დაუდგამს ადამიანს ევერესტის მწვერვალზე, რომელიც ძევს 8,840 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან და უმთავრესათ დამალულია ღრუბლებში. ცნობილი ფრანგი მფრინავი კოლლიზოს, რომელიც შარშან აფრინდა 12,065 მ. სიმაღლეზე და მიიღო პირველი ჯილდო, ამჟამათ განზრახული აქვს ევერესტის მწვერვალზე აფრინდეს. კოლლიზოს არ აქვს განზრახვა ევერესტის მწვერვალზე დაშვების. ის შეასრულებს მხოლოდ ფოტოგრაფიულ სურათების გადაღებას და საფრანგეთის დროშის ჩაშვებას მწვერვალზე. ამ მიზნისათვის კოლლიზოს თან წაყვება კინო—ოპერატორი და ნავიგატორი.

# ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲗ ᲐᲛᲮ. „ᲬᲧᲐᲠᲝᲡ“.

გაზ. „წითელ-არმიელის“ № 122 (1117-ში) მოთავსებული იყო ამხ. წყაროს წერილი: „გვიხსენით ავადმყოფობისაგან“. ამ წერილში ამხ. წყარო იუწყება, რომ მე-6 ლეგიონის საკავშირო ოცეულში არიან ვენერიული ავადმყოფობით დაავადმყოფებული წითელარმიელები და საჭიროა მათი განკერძოება დანარჩენ წითელარმიელებისაგანო. უნდა ითქვას ამხ. წყაროს საყურადღებოთ, რომ ვენერიული ავათმყოფობით მხოლოდ ორი წითელარმიელია შეპყრობილი და ჩემს მიერ დიდი ხანია მიექცა მათ ყურადღება. მე ისინი ექიმთან გავგზავნე და ამჟამათ ისინი აქიმობენ. გარდა ამისა თვითონ ექიმის განმარტებით ეს ავათმყოფობა გადამდები არ არის. ასე, რომ ამხ. წყარო უსაფუძვლოთ შეუშინებია აღნიშნულ გარემოებას.

საკავშირო ოცეულის მ[...] მთაური ი—ძე.

# ᲚᲘᲣᲢᲔᲠ ᲑᲔᲠᲑᲔᲜᲙᲘ

### გამოჩენილი მეცნიერი მცენარეების შემსწავლელი.

ერთი თვის წინად კალიფორნიაში (ამერიკა) გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი-მცენარეების შემსწავლელი-ლიუტერ ბერბენკი. მას უწოდებდენ „მცენარეთა ჯადოსანს“.

მისი მეოხებით შესაძლებელი შეიქნა ჯერ უცნობი, არსად არ არსებული ნაყოფის, ყვავილების და ხორბლეულობის მცენარეების მიღება.

ლიუტერ ბერბენკი იყო მეტად ღარიბი მშრომლების შვილი. ის დიდხანს დახეტიალობდა სამუშაოს საძებრად. მსახურობდა მენაგვეთ. მაგრამ ბუნებამ ის დააჯილდოვა მდიდარი გონებით.

მისი კარიერა დაიწყო შემდეგი ამბით:

ვიღამაც მოისურვა ქლიავის პლანტაციის გაშენება, არა ნაკლებ 20 ათასი ძირი მცენარისაგან. გასაშენებლად მიცემული იყო ვადა მხოლოდ 9 თვე. რომ ჩვეულებრივი წესით ეწარმოებიათ მუშაობა პლანტაციის გასაშენებლად საჭირო იყო არა ნაკლებ 3 წლისა.

ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ბერბენკმა.

მან ჯერ დარგო ნუშის ხეები, რომლებიც განირჩევიან თავისი სწრაფი ზრდით და შემდეგ მათზე დაამყნო ქლიავი. დანიშნულ დროისთვის პლანტაცია მზად იყო. აქედან დაიწყო მისი ახალ-ახალი მიღწევები და გახმაურდა მისი სახელი.

ამერიკაში ცნობილი ქლიავ-ჰერამი, ბალი და ქლიავი უკუ-რკოთ მიღებული იქნა ლიუტერ ბერბენკის ცდებით.

სხვა და სხვა ჯიშების ერთიმანეთით განაყოფიერების მეოხებით, ის აუმჯობესებდა ნაყოფის მომტან საბოსტნე და ყვავილების მომტან მცენარეებს.

თბილ ჰავას მიჩვეული მცენარეები ბერბენკის ხელში მშვენივრად ეგუებოდენ ჩრდილოეთის ცივ ჰავას და საუკეთესო ნაყოფს იძლეოდენ შებრუნებულადაც.

ამ მეცნიერის გენიალობის წყალობით, ამერიკის ჰაოშემი და ჰენჰყოიანი ადგილები გადაქცეული იქნა მშვენიერ და მდიდარ პლანტაციებათ, ბაღებათ და განაყოფიერებული იქნენ.

ვ. ი. ლენინი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ბერბენკის მიღწევებს. ილიჩი ყოველთვის იმაზე ოცნებობდა, რომ ამერიკელების გამოცდილება მიწის დამუშავების საქმეში გადმოტანილი ყოფილიყო რუსეთშიაც.

მიწის განაყოფიერებაში ჩვენ უნდა გავასწროთ ამერიკელებსო—ამბობდა ის.

ლენინის აზრი განხორციელებული იქნა 1924 წელში. დაარსებული იქნა გამოყენებითი ბოტანიკის და ახალი კულტურული მცენარეების ინსტიტუტი.

ბერბენკამდეც მუშაობდენ სხვა და სხვა მეცნიერები სასარგებლო მცენარეების გამოყენებისათვის, მაგრამ ბერბენკმა სასწაულების წინაშე დააყენა ამ მხრივ კაცობრიობა.

ბერბენკის ცდებით მიღებული იქნა არაჩვეულებრივ სიდიდის და გემოს კართოფილი. ამერიკაში ეს კართოფილი ძლიერ გავრცელებულია ამ ჟამად.

ბერბენკმა შესძლო ისეთი მცენარის მწვანილეულობის მიღება, რომელშიაც გაერთიანებულია პამიდორისა და კართოფილის გემო. დიდი ხნის მუშაობის შემდეგ მანვე შესძლო ისეთი მცენარის მიღება, რომელიც ისხამს ქლიავისა და ნუშის ერთმანეთში გაერთიანებული გემოს ნაყოფს.

მაყვალის მალინაზე დამყნობით მიიღო არაჩვეულებრივი სიდიდის და სასიამოვნო გემოს ნაყოფი. მანვე შესძლო მაყვალისა, ვაშლზე, მსხალზე და სხვაზე დამყნობით საუკეთესო ნაყოფების მიღება.

ასევე წარმატებით ახდენდა ბერბენკი სხვა და სხვა ყვავილების ისე გადასხვაფერებას, როგორც თვითონ მოისურვებდა. მანვე შესძლო ისეთი ხახვის მიღება, რომელსაც ჩაის ვარდის სუნი უდის.

# ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ

— ლოგუას. ბინის ქირად თვითეულ კვ. არშინში უნდა იხ[...]დოთ ხუთი კაპ. ნახევარი. თუ სახლის პატრონი არ აკეთებს, შეგ[...]ძლიათ თქვენ შეაკეთოდ სახურავი და გამოუქვითოდ სახლის პა[...]რონს ბინის ქირიდან.

— დევაძეს. თქვენ რომ იწერებით ისე შეუძლებელია მი[...]ვინმემ ჩამოგართვათ. ეს იქნებოდა კანონის დარღვევა, ამიტ[...] თქვენ უნდა მიმართოდ სამხედრო პროკურორს, რომ მან დაგიც[...] იმ პირებისაგან, რომლებიც ლამობენ უკანონოდ მიწის ჩამორთ[...]ვას.

— ნამგალს. პასუხს უნდა მოუცადოთ. თუ დააგვიანდა, მაშ[...] მიმართედ სამხედრო პროკურორს, რომელსაც თქვენი საქმე აქვს გ[...] სარჩევად.

— გაგლოშვილს. უნდა მიმართოდ მიწის კომისიას; თუ თქვ[...] სოფელში ფოხდის თავისუფალი მიწა არის მოგეცემათ.

— ხვედურელს. მოგეცემათ ისე როგორც საერთოდ წით[...] არმიელებს ეძლევათ.

— მარიამიძეს. ყანის დასამუშავებლად მოკლე ვადიანი შვებ[...]ლება არ მოგეცემათ. დახმარებისათვის უნდა მიმართოდ გლეხკომ[...] რომელიც ვალდებულია თქვენს ოჯახს დაეხმაროს.

— ვ. გ. სამხედრო უწყებიდან დახმარება არ მოგეცემა[...] თქვენი შეკითხვის შესახებ უნდა მიმართოდ სამაზრო აღმასკომს [...] ღარიბის მოწმობის წარდგენით.

— მ. კ—ძეს. სამოქალაქო ტანსაცმელის ტარება არ შეგ[...]ძლიათ.

— კ—ტა №5. საშვალო მეთაურის უფლებებით არ სარგ[...]ბლობთ.

— გიგიშხანს. უვადო შვებულებაში დათხოვნილი არ იქნები[...] მუშფაკში სასიარულოდ. მუშფაკში სიარული შეგიძლიათ სამსახ[...]რში ყოფნის დროსაც მხოლოდ უფროსის ნებართვით.

— დუნდუას. ჯერ-ჯერობით განსაზღვრული არ არის თუ რ[...]მდენი ადგილი დაეთმობა მე-2 დივ. პარტსკოლაში. მიღება და[...]წყება სექტემბრიდან.

— შუბლაძეს. ტანსაცმელით დაკმაყოფილებული უნდა იქნე[...]

— ძიგრაშვილს. მეშვიდე ხარისხით.

— ელბაქიანს. უნდა მოგეცეთ.

— ბზიკს. თუ ცოლშვიალიანი ხართ შეგიძლიათ და ის[...] უფროსის ნებართვით.

# ᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ?

მე-3 ლეგიონის ბიურო კოლექტივში შემოტანილი აქვთ გა[...]ნცხადებები კომპარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ შემდეგ [...]რტ-კანდიდატებს:

1) პატარაია სერგო ალექსისძეს, 2) ჰიკაშვილი ფიდო გეგე[...]სძეს, 3) ბეალავა მამანტი დავითისძეს, 4) ქათამაძე დიმიტრი დავ[...]თისძეს.

კომკავშირის წევრობიდან კომპარტიის კანდადატად გადარ[...]ცხვის შესახებ:

1) ნიკოლოზ ლეჟავას, 2) ერმილე დავითისძე ეფრემიძეს, (უპარტიო) ისიდორე ჯიქიას და კომკავშირის წევრად მიღება[...] 1. მოდებაძე სევარიანე ივანესძეს. (უპარტიო).

დასახელებულ ამხანაგების პარტიაში მიღების შესახებ თუ ვ[...]ნმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ მე-3 ლე[...] ბიურო-კოლექტივში ათი დღის განმავლობაში.

ბიურო-კოლექტივის მდივანი ბ ე რ ი შ ვ ი ლ ი.

ქართულ სამხ. პოლიტ-სკოლის კომუჯრედში შემოტ[...]ნილი აქვთ განცხადება პარტიაში მიღების შესახებ: 1. ამ[...]როსი შეყლაშვილი, 2 ალექსანდრე გიორგაძეს, 3. გიორ[...] ჩიქიაშვილი, 4. იასონ კინტირიას, 5. გიორგი კაკაბაძეს [...] 6. აკაკი კოპალეიშვილს. თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგ[...] აქვს ამხანაგების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირ[...] განმავლობაში.

კომუჯრედის პ. მგ. მდივანი ა. ცხადაძე.


## ᲠᲐ ᲦᲘᲠᲡ 1-Ლ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ“!!

**ცალკე ხელის მომწერთათვის:**

1 თვით — 35 კაპ.
3 თვით — 90 კ.
6 თვით — 1 მ. 70 კ.
12 თვით — 3 მ. 20 კ.

**წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:**

1 თვით — 30 კაპ.
3 თვით — 80 კ.
6 თვით — 1 მ. 50 კაპ.
12 თვით — 3 მ.

**ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის**


ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კაცხოველის ქ. № 8. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.